





UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER






COVID-19
RESPONSE



COVID-19 და ქალთა უფლებები

მოგზადაზულია გეაროს ალაპიანის უფლებათა
უგაღლასი კომისრის ოფისის მიერ
2020



სარჩევი

რა გავლენას ახდენს COVID-19 გენდერული ნიშნით ძალადობაზე?	2
რა გავლენა აქვს COVID-19-ს ქალთა ჯანმრთელობაზე?	6
რა გავლენას ახდენს COVID-19 სამუშაოზე, შემოსავალსა და საარსებო წყაროზე?	9
რა გავლენას ახდენს COVID-19 ქალთა მისაწვდომობაზე წყალსა და სანიტარულ საშუალებებზე?	11
რა გავლენას ახდენს COVID-19 ბავშვთა განათლებაზე?	12
რა კავშირი აქვს ქალთა საკვებზე მისაწვდომობას COVID-19-თან?	13
რატომ არის კრიტიკული ქალთა მონაწილეობა COVID-19-ის საპასუხო ზომების დაგეგმვაში?	14
რა მონაცემების შეგროვებაა საჭირო?	15

რა გავლენას ახდენს COVID-19 გენდერული ნიშნით ქალაქობაზე?

სახლში დარჩენის და გადაადგილების შეზღუდვის სხვა ზომები ხელს უწყობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევების მატებას, რასაც მედიაში გავრცელებული ინფორმაცია¹, ოფიციალური განცხადებები² და სხვადასხვა ქვეყანაში მომუშავე უფლება-დამცველებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობებისგან მიღებული ცნობებიც ადასტურებს.

ისედაც ძალადობრივ გარემოში მყოფი ქალები და გოგონები არსებულ სიტუაციაში უფრო მეტად ექვემდებარებიან კონტროლსა და შეზღუდვას მოძალადეების მხრიდან, მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა კი, ან შეზღუდული აქვთ, ან საერთოდ არ აქვთ. ცხელი ხაზის ოპერატორები იღებენ შეტყობინებებს იმის შესახებ, რომ ქალებს ემუქრებიან სახლიდან გაგდებით, არიან დაინფიცირების მომეტებული რისკის ქვეშ, ვეღარ იღებენ სამედიცინო დახმარებას ან დაკარგეს ფინანსური რესურსები.³

დახმარების სერვისებზე წვდომას, შესაძლოა, მოძალადესთან ერთ სივრცეში გამოკეტვაც ართულებდეს. ზოგიერთ ცხელ ხაზზე⁴ შემცირებულია ზარების რაოდენობა, მაშინ როცა მოიმატა ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ, რაც, შესაძლოა, პრივატული ზარების განხორციელების სირთულეებთან იყოს დაკავშირებული.

მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა, მათ შორის, თავშესაფრების, ჯანდაცვის სერვისებისა და პოლიციის მხრიდან დახმარება დღეს, შესაძლოა აღარ იყოს პრიორიტეტი. არსებობს ცნობები გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების დახურვის⁵ ან უსახლკაროთა თავშესაფრებად გადაკეთების⁶, აგრეთვე, საგანგებო ცხელი ხაზების სერვისების შემცირების⁷, და კლინიკებისა და საკონსულტაციო სერვისების გაუქმების შესახებ.

სერვისებზე წვდომას ვირუსის გავრცელების შიშიც აბრკოლებს. მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთი თავშესაფარი ქალებისაგან მოითხოვს COVID-19-ზე ჩატარებული ტესტის უარყოფითი პასუხის წარმოდგენას, მაშინ, როდესაც ტესტები ფართოდ მისაწვდომი არ არის.⁸

1 <https://www.theguardian.com/society/2020/mar/28/lockdowns-world-rise-domestic-violence>
2 <https://france3-regions.francetvinfo.fr/normandie/confinement-violences-conjugales-appellez-faites-du-bruit-1807532.html>
3 <https://time.com/5803887/coronavirus-domestic-violence-victims/>
4 https://www.swissinfo.ch/fre/crise-du-coronavirus_victimes-confi%C3%A9es-avec-leur-agresseur--le-cauchemar-/45646534,
<https://www.theguardian.com/society/2020/mar/28/lockdowns-world-rise-domestic-violence>
5 <https://www.nytimes.com/2020/03/24/us/coronavirus-lockdown-domestic-violence.html>
6 <http://www.sddirect.org.uk/media/1881/vawg-helpdesk-284-covid-19-and-vawg.pdf>
7 <https://france3-regions.francetvinfo.fr/normandie/confinement-violences-conjugales-appellez-faites-du-bruit-1807532.html>
8 <https://www.swissinfo.ch/eng/reuters/europe-braces-for-domestic-abuse--perfect-storm--amid-coronavirus-lockdown/45646312>

რა შეიძლება დასახელდეს წარმატებულ პრაქტიკად?

სახელმწიფოებმა, მედიამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია რიგი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:

გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების აუცილებელ სერვისებად გამოცხადება.

ესპანეთმა⁹ და **პორტუგალიამ**¹⁰ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების მიწოდება, ქვეყანაში გამოცხადებული კარანტინის მიუხედავად, პრიორიტეტულად გამოაცხადეს. ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ნიუ-იორკში, თავშესაფრები გადაუდებელ სერვისებად გამოცხადდა.¹¹

ალტერნატიული განთავსების ადგილების მისაწვდომობის გაფართოება, მოძალადებთან ერთად ერთ სივრცეში გამოკეტვის თავიდან ასაცილებლად.

იტალიაში, გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე შენობა თავშესაფრებად გადაკეთდა, ონლაინ დაჯავშნის სერვისების საშუალებით კი, დამატებითი საცხოვრებლები მოიძიეს.¹² მედია საშუალებების ინფორმაციით, **საფრანგეთი**, იმ ქალებისთვის, რომლებიც მოძალადე პარტნიორებს გამოექცნენ, სასტუმროებში განთავსებას დააფინანსებს.¹³ **პორტუგალიაში** კი გაიხსნა ორი ახალი თავშესაფარი, რომლებიც 100-მდე ადამიანს იტევს.¹⁴

სეგრევირებული მონაცემების შეგროვება და პროაქტიული სისტემების დანერგვა ხელისუფლებებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად და მსხვერპლთა დასაცავად.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ესპანეთის** მთავრობამ განაცხადა ლოკაციით აღჭურვილი ჩატის სერვისის ამოქმედების შესახებ, რომელიც იზოლაციის დროს უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ დახმარებას და ამასთან ერთად, დაზარალებულებს შესაძლებლობას აძლევს დაუკავშირდნენ პოლიციას.¹⁵ **კანარის კუნძულებსა** (ესპანეთი)¹⁶ და **საფრანგეთში**¹⁷ გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს შესაძლებლობა აქვთ, აფთიაქებში მოითხოვონ „ნიღაბი 19“, რომელიც დახმარების თხოვნის კოდური სიტყვაა. ანალოგიურად, **არგენტინაში**, მთავრობამ წამოიწყო კამპანია, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს საშუალებას აძლევს წავიდნენ ან დარეკონ აფთიაქებში და მოითხოვონ წითელი ქირურგიული ნიღაბი დახმარების მისაღებად. მსგავსი ინიციატივა, სავარაუდოდ, დაინერგება **ბოლივიაშიც**. **პორტუგალიის** ხელისუფლებამ კი განაცხადა დახმარების ცხელი ხაზის გაძლიერების, ახალი SMS ხაზის და ელექტრონული ფოსტის ამოქმედების შესახებ, ხოლო არსებულმა სამსახურებმა დაამტკიცეს სამოქმედო გეგმები მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად. მათ შორის, გააძლიერეს დისტანციური მხარდაჭერის მექანიზმები და მონიტორინგისა და გადაუდებელი

9 Real Decreto-ley 10/2020, 29 მარტი, 2020, მისაწვდომია: <https://elpais.com/espana/2020-03-28/el-gobierno-amplia-el-confinamiento-los-trabajadores-de-actividades-no-esenciales-deberan-quedarse-en-casa.html>

10 2020 წლის 6 აპრილის წერილი პორტუგალიის მუდმივმოქმედი მისიიდან.

11 <https://www.nytimes.com/2020/03/24/us/coronavirus-lockdown-domestic-violence.html>

12 <https://www.swissinfo.ch/eng/reuters/europe-braces-for-domestic-abuse--perfect-storm--amid-coronavirus-lockdown/45646312>

13 <https://france3-regions.francetvinfo.fr/normandie/confinement-violences-conjugales-appellez-faites-du-bruit-1807532.html>

14 2020 წლის 6 აპრილის წერილი პორტუგალიის მუდმივმოქმედი მისიიდან.

15 <https://www.swissinfo.ch/eng/reuters/europe-braces-for-domestic-abuse--perfect-storm--amid-coronavirus-lockdown/45646312>

16 <https://www.swissinfo.ch/eng/reuters/europe-braces-for-domestic-abuse--perfect-storm--amid-coronavirus-lockdown/45646312>

17 <https://france3-regions.francetvinfo.fr/normandie/confinement-violences-conjugales-appellez-faites-du-bruit-1807532.html>

დახმარების ჯგუფები.¹⁸ **ბოლივიაში**, მსხვერპლ ქალებს საშუალება აქვთ, ძალადობის შესახებ, 24 საათის განმავლობაში განაცხადონ WhatsApp აპლიკაციის საშუალებით, რაც მსხვერპლის ლოკაციის მარტივად დადგენის საშუალებას იძლევა. **ინდოეთში**, პოლიციამ ოჯახში ძალადობის შემთხვევებისათვის ახალი ცხელი ხაზი ამოქმედდა, სადაც თითოეულ საქმეს ქალი ოფიცერი განიხილავს.¹⁹ მედიის ცნობით, **ირლანდიაში** პოლიციამ, ყველა იმ მსხვერპლთან პროაქტიულად დასაკავშირებლად, რომელთაც მათთვის ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით წარსულში უკვე მიუმართავთ, ამოქმედდა სერვისი - Operation Faoisimh. აღსანიშნავია, რომ სერვისს, რომელიც ატარებს სავალდებულო დაპატიმრების პოლიტიკას,²⁰ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დადებითად გამოეხმაურნენ.²¹ **ურუგვაიში**, უზენაესმა სასამართლომ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებულ სასამართლოს, ვადის გასვლის შემთხვევაში, გამაფრთხილებელი ზომების 60 დღით გახანგრძლივების უფლება მისცა.

მსხვერპლთა ინფორმირება არსებული სერვისების შესახებ.

ჩინეთში, არაკომერციულმა ორგანიზაციებმა გამოსცეს სახელმძღვანელოები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან ქალებმა თავი და მოითხოვონ დახმარება; ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ონლაინ სემინარი ჩაატარა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ დახმარება ოჯახში ძალადობის თვითმხილველებს.²² გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლების ცნობით, **კოსტარკაში** ქალთა სტატუსის სამინისტრომ წამოიწყო საინფორმაციო კამპანია ზრუნვისა და დაცვის სერვისების შესახებ, სახელწოდებით #No-ÉstásSola („თქვენ მარტო არ ხართ“). **ურუგვაიში** გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების გასაგზავნად, ტელეფონის ნომრები ვერტმფრენებით გაავრცელეს. **ლიბანის** შინაგანი უსაფრთხოების ძალებმა გაავრცელეს განცხადება, სადაც საგანგებოდ მიუთითეს, რომ ძალადობის შემთხვევაში, დაზარალებულებსა და თვითმხილველებს ცხელ ხაზზე შეუძლიათ დარეკონ 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე, ან გააგზავნონ საჩივრები ელექტრონულად.²³ **მაროკოში** სახელმწიფო დაწესებულებებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, ქალებს მოუწოდეს დარეკონ ცხელი ხაზის ნომერზე, ან გამოიყენონ „ჩვენ ყველანი თქვენთან ვართ“ პლატფორმა ძალადობის ნებისმიერი ფორმის შესახებ განსაცხადებლად. **პორტუგალიაში** დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სოციალურ მედიაში, რადიოში, ტელევიზიასა და პრესაში წარმოებული კამპანიის საშუალებით #SegurançaEmIsolamento24²⁴ („უსაფრთხოდ შეზღუდვის დროს“). **ესპანეთმა** წამოიწყო კამპანია Estamos Contigo: La Violencia de Género la Paramos Unidad („ჩვენ თქვენთან ვართ, ერთად ჩვენ შევაჩერებთ გენდერული ნიშნით ძალადობას“).²⁵ ონლაინ-ბროშურის საშუალებით დაზარალებულებს ეცნობათ ისეთი სერვისების შესახებ, როგორცაა: 24/7 დახმარების ცხელი ხაზი და ელ. ფოსტის მისამართი, ფსიქოლოგიური დახმარების სერვისი (რომელიც WhatsApp აპლიკაციის საშუალებითაა მისაწვდომი) და იურიდიული მომსახურება, რომელიც 52 ენაზეა, მათ შორის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ბროშურა კონკრეტულ რჩევებს აძლევს ქალებს, რომ-

18 2020 წლის 6 აპრილის წერილი პორტუგალიის მუდმივმოქმედი მისიიდან.

19 <https://www.theguardian.com/society/2020/mar/28/lockdowns-world-rise-domestic-violence>

20 <https://www.rte.ie/news/ireland/2020/04/01/1127724-gardai-domestic-violence-cases/>

21 <https://www.safeireland.ie/safe-ireland-welcomes-garda-prioritisation-of-domestic-abuse-and-coercive-control/>

22 <https://www.sixthtone.com/news/1005253/domestic-violence-cases-surge-during-covid-19-epidemic>

23 <http://www.ministryinfo.gov.lb/46902>

24 2020 წლის 6 აპრილის წერილი პორტუგალიის მუდმივმოქმედი მისიიდან.

25 <http://www.violenciagenero.igualdad.gob.es/sensibilizacionConcienciacion/campañas/violenciaGobierno/todoSaldráBien/home.htm>

ლებიც მოძალადებთან ერთად ცხოვრობენ ან ჰყავთ საერთო შვილები მოძალადებთან. ასევე იმ ქალებს, რომლებიც ნერვიულობენ თავიანთი შინაური ცხოველების მიტოვების გამო პანდემიის დროს.²⁶

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი დაცვის სერვისები გამოაცხადონ აუცილებელ სერვისებად.
- ◆ რეფერალური სამსახურების მეშვეობით ზრუნვის დანერგვებისა და სერვისების მიმწოდებლების მუდმივი ინფორმირება მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით.²⁷
- ◆ უზრუნველყონ სერვისების მიმწოდებლებისა და სხვა პროფესიონალების ინფორმირება მიმართვიანობის გზების შესახებ. ასევე, შეიმუშაონ კოდური სიტყვები ოჯახში ძალადობის შესატყობინებლად.
- ◆ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და მათი შვილებისათვის უზრუნველყონ საკმარისი და უსაფრთხო თავშესაფრები. მიიღონ განსაკუთრებული ზომები იმ ქალებისა და გოგონებისთვის, რომელთა გადაყვანაც ვერ ხერხდება თავშესაფრებში შესაძლო ინფექციის გავრცელების საშიშროების გამო და მოხდეს მათი განთავსება კარანტინში უსაფრთხოდ.
- ◆ გამოყონ სათანადო რესურსები ცხელი ხაზების, ონლაინ ჩატებისა და სხვა ტიპის დივერსიფიცირებული დახმარებისა და შეტყობინების მექანიზმებისათვის, რომლებიც იქნება უსაფრთხო და დისტანციურად მისაწვდომი.
- ◆ ყველასთვის მისაწვდომი და სხვადასხვა არხების გამოყენებით აამაღლონ ცნობიერება თუ რა გზით შეუძლია მსხვერპლს დახმარების მიღება და რა ტიპის დახმარება შეუძლია თვითმხილველს.
- ◆ სამართალდამცავმა ორგანოებმა და სასამართლოებმა გადადგან დაუყოვნებელი და პროაქტიული ნაბიჯები მოძალადეების სახლიდან გასაყვანად და მსხვერპლთა დასაცავად. მოძალადეების პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კი მიიღონ ზომები იმისთვის, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლები კვლავ რისკის ქვეშ არ აღმოჩნდნენ.
- ◆ სასჯელის/ჯარიმისგან გაათავისუფლონ ის პირები, რომლებიც იზოლაციის წესებს ძალადობისგან თავის დაღწევის ან ძალადობის შესახებ შეტყობინების გაგზავნის მიზნით დაარღვევენ.
- ◆ გააძლიერონ დაზარალებულთა სამედიცინო, ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური დახმარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გაუპატიურებისა და სხვა სექსუალური ძალადობის შემთხვევებს.
- ◆ კონსულტაციები გაუწიონ ქალთა და ლგბტი+ ჯგუფებს, ასევე თავშესაფრებისა და ცხელი ხაზების ადმინისტრატორებს, ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების ღონისძიებების საკითხებზე.

26 2020 წლის 8 აპრილის წერილი ესპანეთის მუდმივმოქმედი მისიიდან.

27 იხილეთ გაეროს მოსახლეობის ფონდი, https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_A_Gender_Lens_Guidance_Note.pdf, გვ. 2.

რე გავლენა აქვს COVID-19-ს ქალთა ჯანმრთელობაზე?

ქალებსა და გოგოებზე არაპროპორციული ზეგავლენის უმთავრესი მიზეზი ინფექციისგან შედარებით დაბალი დაცულობა და პერსონალური დამცავი აღჭურვილობის საჭიროებაა. ინფექციის რისკი შედარებით მაღალია ქალებისა და გოგოებისთვის, რადგან მათ უფრო ხშირად უწევთ მზრუნველის როლში ყოფნა.²⁸ ქალები ჯანდაცვის მუშაკთა 70%-ს შეადგენენ,²⁹ რომელთა შორის არიან ბებიაქალები, ექთნები, ფარმაცევტები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლები, რომლებიც პანდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებიან³⁰ და ასევე ესაჭიროებათ ფსიქოსოციალური დახმარების სერვისები.³¹ გარდა ამისა, ორსული ან ახალნამშობიარები ქალები და გოგოები, შესაძლოა განსაკუთრებით დაუცველები იყვნენ ინფექციური დაავადებების მიმართ. განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ აქვთ რესპირატორული დაავადებები და თუ სჭირდებათ რეგულარული სამედიცინო სერვისები, რაც მათ პოტენციური რისკის ქვეშ აყენებს. სამედიცინო სერვისების უსაფრთხო და კონფიდენციალური მისაწვდომობა, შესაძლოა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ შეაფერხოს. ასეთ დროს ჩნდება სხვადასხვა ბარიერები, მათ შორის: სოციალური ნორმები და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, კრიმინალიზაცია (მაგ. აბორტი, სექს-მუშაკთა საქმიანობა და ა.შ.), შეზღუდული გადაადგილება, შემოსავლის ნაკლებობა, მესამე მხარის უფლებამოსილების საჭიროება და ბავშვთა მოვლის სერვისების არარსებობა.³² ასევე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ოჯახი COVID-19-ით ინფიცირებულ ქალებსა და გოგოებს მკურნალობაში ხელს უშლის კულტურული და რელიგიური აკრძალვების და ოჯახის ღირსებასთან დაკავშირებული შფოთვების გამო.

გადატვირთულმა ჯანდაცვის სისტემებმა, რესურსების გადანაწილებამ, სამედიცინო მარაგის ნაკლებობამ და მომარაგების გლობალური ქსელების შეფერხებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებით სარგებლობას. მათ შორის, წვდომას დედეებისა და ახალშობილებისათვის განკუთვნილ სერვისებზე; უსაფრთხო აბორტზე; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და განათლებაზე; ეფექტიან მიმართვიანობაზე;³³ მენსტრუალურ საშუალებებზე; კონტრაცეფციაზე; აივ ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსულ საშუალებებზე; ასევე, ანტიბიოტიკებზე, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სამკურნალოდ. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ აფრიკაში ებოლას კრიზისის დროს შემცირდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის განკუთვნილი რესურსები. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა დედეების სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებელი.³⁴ ასევე

28 <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=25746&LangID=E>
29 მათ ასევე 3 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეაქვთ გლობალურ ჯანდაცვაში, რომლის ნახევარიც ანაზღაურების გარეშე მუშაობაზე მოდის, see [https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736\(19\)30208-9/fulltext](https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(19)30208-9/fulltext)
30 ჯანდაცვის ადამიანური რესურსები (HRH) გლობალური რესურს ცენტრი, "რესურსები: გენდერი და ჯანმრთელობა," HRH, ბოლოს ნანახია 2020 წლის 14 მარტის, https://www.hrhresourcecenter.org/gender_stats.html; ასევე იხილეთ <https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/why-gender-matters-impact-and-recovery-covid-19>.
31 <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20eseasia/docs/publications/2020/03/ap-giha-wg-advocacy-pdf?la=en&vs=2145>.
32 მაგ. იხილეთ https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b-752d&mc_eid=b6f3e4b34a, გვ. 3.
33 მაგ. იხილეთ https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_A_Gender_Lens_Guidance_Note.pdf, გვ. 2; https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b752d&mc_eid=b6f3e4b34a; <https://www.hrw.org/news/2020/03/19/human-rights-dimensions-covid-19-response>; <https://blogs.bmj.com/bmj/2020/03/19/covid-19-and-reproductive-health-what-can-we-learn-from-previous-epidemics/>; <https://www.gutmacher.org/article/2020/03/covid-19-outbreak-potential-fallout-sexual-and-reproductive-health-and-rights>.
34 მაგ. იხილეთ <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/29149310>.



არსებობს ცნობები, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ, COVID-19-თან ბრძოლის პირობებში, აბორტი ამოიღო აუცილებელი ოპერაციების და სამედიცინო პროცედურების სიიდან.³⁵

ოჯახში მომუშავე მიგრანტები, რომელთა უმეტესობა ქალები არიან, შესაძლოა რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით, მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვებისა და თვით-იზოლაციის გამო.³⁶ ეს პრობლემა არალეგალურად მომუშავეებისთვის განსაკუთრებით მწვავეა.³⁷ გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთი დამქირავებელი მიგრანტი ქალებისგან მოითხოვს დავალებების შესრულებას სახლის გარეთაც, მათ შორის, სავაჭრო ობიექტებში წასვლას, რაც მათ ინფექციის გადადების განსაკუთრებული რისკის ქვეშ აყენებს.

ქრონიკული პრობლემების, დასუსტებული იმუნური სისტემის (აივ ინფექციის, მალარიის, ტუბერკულოზის ან სხვა მიზეზების გამო) ან არასათანადო კვების მქონე ქალები და გოგოები ინფექციის გადადების განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან. ხანდაზმულ ქალებს, ხშირად, სიღარიბეში უწევთ ცხოვრება დაბალი პენსიის, ან მისი არქონის გამო, რაც მათ სამუდამო უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პირობებში ამყოფებთ. ამან შეიძლება, თავის მხრივ გააძლიეროს ვირუსის გავლენა და პარალელურად შეამციროს მათი მისაწვდომობა დამცავ საშუალებებზე, მათ შორის საკვებზე, წყალზე, ინფორმაციასა და ჯანმრთელობის სხვადასხვა სერვისებზე.

რა შეიძლება დასახელდეს წარმატებულ პრაქტიკად?

სახელმწიფოებმა, მედიამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია რიგი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:

რისკის ქვეშ მყოფი ქალებისათვის პრევენციისა და დაცვის პრიორიტეტის მინიჭება.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გაიხსნა ტესტირების პირველი დრავი ცენტრი, სადაც შესაძლებელია ხუთწუთიანი ტესტის გაკეთება COVID-19-ზე და სადაც ორსულ ქალებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს ენიჭებათ პრიორიტეტი. **ბაჰრეინში** ქალთა უზენაესმა საბჭომ მთელი ქვეყნის მასშტაბით წამოიწყო კამპანია სახელწოდებით „ერთად ბაჰრეინის უსაფრთხოებისთვის“. კამპანიაში ჩართული 500 მოხალისე ადგილობრივ ქალებსა და ოჯახებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.³⁸

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გავრცელებული ინფორმაციით, **გაერთიანებული სამეფოს** მთავრობამ შეცვალა რეგულაციები აბორტის შესახებ, რათა ქალებისათვის ნება დაერთო შესაბამისი აბები სახლში, კლინიკაში წაუსვლელად მიეღოთ.³⁹ **საფრანგეთის** მთავრობამ მიიღო ზომები ქალებისათვის კონტრაცეპტული აბებით უზრუნველყოფისთვის, იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი ვერ ახერხებენ რეცეპტების განახლებას.⁴⁰ **ჰოლანდიაში** ბებიაქალებმა პანდემიის პირობებში დაკეტი-

35 <https://www.haaretz.com/israel-news/.premium-women-s-groups-in-israel-sound-alarm-after-abortions-not-deemed-urgent-procedure-1.8702732>; <https://time.com/5816530/coronavirus-abortion-clinics-access/>

36 https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_A_Gender_Lens_Guidance_Note.pdf, გვ. 7.

37 <https://www.aljazeera.com/news/2020/03/undocumented-struggle-access-coronavirus-tests-lebanon-200328114859620.html>;

38 <https://www.newsofbahrain.com/bahrain/62814.html>

39 <https://time.com/5812433/abortion-coronavirus-outbreak-uk/>; <https://www.bbc.com/news/newsbeat-52092131>

40 www.egalite-femmes-hommes.gouv.fr/cp-confinement-et-delivrance-de-la-pilule-contraceptive/; www.egalite-femmes-hommes.gouv.fr/cp-pilule-contraceptive-ivg-le-gouvernement-mobilise-pour-assurer-les-droits-sexuels-et-reproductifs-des-femmes-23-03-20/

ლი სასტუმროები მშობიარეების მისაღებად მოაწყვეს.⁴¹ ამ ინიციატივით ინსპირირებულმა გაერთიანებული სამეფოს ბებიაქალების ქსელმა საავადმყოფოების მახლობლად დროებითი სამშობიარო ცენტრების გახსნის რეკომენდაცია გასცა.⁴² ⁴³ **შეერთებულ შტატებში**, ნიუ-იორკის ოჯახის დაგეგმვის ცენტრმა შემოიღო ვირტუალური ჯანდაცვის სერვისი - Telehealth Services, რომელიც პაციენტებს საშუალებას აძლევს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები ტელეფონის და ვიდეო ჩართვების საშუალებით მიიღონ. მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა ჩასახვის სანინააღმდეგო საშუალებები, გადაუდებელი კონტრაცეფცია, ტრანსგენდერი/ინტერსექსი ადამიანებისთვის ჰორმონალური თერაპია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა და სხვ.⁴⁴

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ უზრუნველყონ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ქალებისთვის უსაფრთხოების, მენსტრუალური ჰიგიენის საშუალებებსა და ფსიქოსოციალურ დახმარებაზე სათანადო წვდომა.
- ◆ უზრუნველყონ დისკრიმინაციის გარეშე სამედიცინო მკურნალობასა და მომსახურებებზე უსაფრთხო წვდომა ყველასთვის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მიგრანტ ქალებს, ლბტ+ ქალებს, ოჯახებში მომუშავე ქალებს, ხანდაზმულ ქალებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს, ორსულებსა და მეძუძურ დედებს.
- ◆ უზრუნველყონ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტი მიწოდება. მათ შორის: დედებისა და ახალშობილებისთვის ზრუნვის სერვისების უზრუნველყოფა; უსაფრთხო აბორტი და შემდგომი ზრუნვა; კონტრაცეფცია; აივ ინფექცია/ შიდსის ანტირეტროვირუსული საშუალებები და სექსუალური გზით გადამდები დაავადებების სამკურნალო ანტიბიოტიკები.⁴⁵
- ◆ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დედებისთვის უწყვეტი ჯანდაცვის სერვისების მიღებას, მათ შორის, მუდმივი შეტყობინებების საშუალებით, რაც ქალებსა და გოგოებს, განსაკუთრებით მათ, ვინც საკარანტინო, თვითიზოლაციის ან შეზღუდული სატრანსპორტო გადაადგილების პირობებში იმყოფება, დაეხმარება დროული გადაწყვეტილებების მიღებაში.
- ◆ საჭაროდ შეუწყონ ხელი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირების მხარდაჭერას, სოლიდარობასა და კრიტიკული მნიშვნელობის აღიარებას, რომელთა უმრავლესობაც ქალია.
- ◆ უზრუნველყონ მენსტრუალური ჰიგიენის, სამეანო, რეპროდუქციული და სხვა პირველადი სამედიცინო მოხმარების საშუალებების სათანადოდ მომარაგება და მათზე წვდომა.
- ◆ გაითვალისწინონ საკვების ნაკლებობის განსაკუთრებული ზემოქმედება ქალებსა და გოგოებზე და ამ ზემოქმედების გამწვავება COVID-19-თან ბრძოლის დროს, რაც ქალებსა და გოგოებს მომეტებულ საფრთხეს უქმნის.
- ◆ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალების ჯანმრთელობის საკითხს COVID-19-თან დაკავშირებული კვლევების ფარგლებში (გავლენა, სიმპტომები, მკურნალობა, ვაქცინები), ვინაიდან ეს ხშირად არ ხდება კლინიკური ცდების დროს. ისევე როგორც ინფექციის შემთხვევათა შესახებ სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებას, მინიმუმ სქესის, ასაკის, რასისა და ორსულობის სტატუსის მიხედვით.

41 ვიდეოში აღწერილია, თუ როგორ გადააკეთეს ბერნჰოვენში სასტუმროს ნომრები სამშობიარო პალატებად, <https://www.facebook.com/nos/videos/2592352494339076/>

42 <https://www.theguardian.com/society/2020/apr/01/nhs-urged-to-turn-hotels-into-birth-centres-during-coronavirus-crisis>

43 <http://www.midwiferyunitnetwork.org/download/position-statement-midwifery-units-and-covid-19/>

44 <https://www.plannedparenthood.org/planned-parenthood-greater-new-york/about/news/planned-parenthood-of-greater-new-york-launches-telehealth-services-amid-the-covid-19-pandemic>

45 იხილეთ მინიმალური ძირითადი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგად კომენტარში N22.

რა გავლენას ახდენს COVID-19 სემუშაოზე, შემოსავალსა და სეარსებო წყაროზე?

ბევრ ქვეყანაში ქალები დასაქმებულები არიან დაბალანაზღაურებად და არაფორმალურ სამუშაო ადგილებზე.⁴⁶ ასევე, უმეტესად ქალები მუშაობენ სასტუმროებსა და რესტორნებში, საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ინდუსტრიებში, რომლებიც COVID-19-თან ბრძოლის პირობებში, ყველაზე მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ.⁴⁷ ⁴⁸ ქალთა დიდი წილი არაფორმალურ სექტორში გულისხმობს, რომ ისინი სავარაუდოდ ვერ სარგებლობენ ანაზღაურებადი შვებულებით ან ბიულეტენით; არ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა და სოციალურად დაუცველები არიან.⁴⁹ ასეთი ქალებისთვის, წვდომა საარსებო წყაროზე, საფრთხის ქვეშ დგას.⁵⁰

სკოლების და ზრუნვის დღის ცენტრების დახურვა, ასევე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს დედებზე და მეურვეებზე, რომლებსაც ხშირად უწევთ დამატებითი მზრუნველობითი მოვალეობების შესრულება დისკრიმინაციული გენდერული ნორმების გამო, რაც კიდევ უფრო მეტად ზღუდავს მათ სამუშაო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.⁵¹

მთავრობები და კომპანიები მოსახლეობას მოუწოდებენ, სახლიდან სამუშაოდ გამოიყენონ დისტანციური მუშაობის ტექნოლოგიები. ციფრული ტექნოლოგიების თვალსაზრისით არსებულმა გენდერულმა უთანასწორობამ კი, შესაძლოა, შეზღუდოს ქალთა დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა. დღესდღეობით მსოფლიოში 327 მილიონით ნაკლებ ქალს აქვს სმარტფონი და ზოგიერთ ქვეყანაში, ქალების წვდომა ინტერნეტთან, კაცებთან შედარებით, 31 პროცენტით ნაკლებია.⁵²

ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებულმა შიშებმა და ქსენოფობიამ, შესაძლოა შეზღუდოს მიგრანტ ქალთა შრომითი შესაძლებლობები, რაც მათთვის და მათი ოჯახებისათვის საარსებო წყაროს დაკარგვას ნიშნავს.⁵³ ქალების შემოსავლის დაკარგვა გავლენას ახდენს მათი ოჯახების კეთილდღეობაზე,⁵⁴ განსაკუთრებით, როდესაც ისინი ოჯახის ერთადერთი მარჩენალები არიან.⁵⁵

46 მაგალითად, აშშ-ში, მინიმალური და დაბალი ანაზღაურების მქონე პირების 62% ქალია და ეს მაჩვენებელი არ მოიცავს ანაზღაურების გარეშე მომუშავე ქალების უმრავლესობას, <https://www.pewresearch.org/fact-tank/2014/05/05/more-women-than-men-earn-the-federal-minimum-wage/>

47 <https://www.hrw.org/news/2020/03/19/human-rights-dimensions-covid-19-response>; https://www.bbc.co.uk/news/amp/world-asia-51705199?_twitter_impression=true.

48 იხილეთ, მაგ., <https://www.fastcompany.com/90479204/why-women-will-be-hardest-hit-by-a-coronavirus-driven-recession>

49 მაგ., გავრცელებული ცნობებით, უგანდელი მუშახელის 80% დასაქმებულია არაფორმალურ ბიზნესში, რომელთაგან 75%-ზე მეტი ქალია.

50 მაგ., ჩვენ მივიღეთ ცნობები აღმოსავლეთ აფრიკის ბევრი ქვეყნიდან, რომ მოვაჭრეებმა, რომელთა უმეტესობა ქალია, იზოლაციის გამო, დაკარგეს საარსებო საშუალებები.

51 [https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736\(20\)30526-2/fulltext](https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(20)30526-2/fulltext)

52 <https://www.hrw.org/news/2020/03/19/human-rights-dimensions-covid-19-response> www.ohchr.org

53 https://www.care-international.org/files/files/Gendered_Implications_of_COVID-19-Full_Paper.pdf

54 გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ში, ბავშვიანი ოჯახების 70%-ზე მეტის ეკონომიკური კეთილდღეობა ქალების შემოსავალს ეყრდნობა, ანუ როცა ქალები კარგავენ შემოსავალს, ეს ნიშნავს, რომ ნაკლები დაიხარჯება საკვებზე, საცხოვრებელზე, ჯანმრთელობასა და ბავშვზე ზრუნვაზე. იხ. <https://www.fastcompany.com/90479204/why-women-will-be-hardest-hit-by-a-coronavirus-driven-recession>

55 სამხრეთ აფრიკის ქალი უფლებადამცველების ინფორმაციით, ქალების 35% ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. არსებულ სიტუაციაში სამუშაოების დაკარგვით კი, საფრთხის ქვეშ დგება წვდომა საკვებსა და პირველად სერვისებზე, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულებებზე, გამოსაკვლევად თუ სამკურნალოდ.

რა შეიძლება დასახელდეს წარმატებულ პრაქტიკად?

სახელმწიფოებმა, მედიამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია რიგი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:

გენდერულად მგრძობიარე ეკონომიკური წახალისებისა და დახმარების პაკეტების დამტკიცება.

კოსტა რიკის ხელისუფლებამ უმუშევრობის გაზრდის თავიდან აცილების მიზნით, შეამცირა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები კოოპერატივებისა და იმ ბიზნეს პროექტებზე, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობის მონყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის არიან: ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, სოფლად მცხოვრები, მიგრანტი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. გარდა ამისა, ორსული და მეძუძური დედები გამოირიცხნენ სამუშაო განაკვეთის შემცირების შესახებ კანონის (კან. 9832) მოქმედების არეალიდან, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურიდან განთავისუფლებების თავიდან აცილების მიზნით დამტკიცდა. **ინდოეთში** ეკონომიკური დახმარების ზოგიერთი პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებზე ქვეყნის იზოლაციის გავლენის შემცირებას, კონკრეტულად მორგებულია ქალებზე, მათ შორის, ქვრივ ქალებზე.⁵⁶ თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ეს დახმარება არ არის საკმარისი იზოლაციით გამოწვეული ნეგატიური გავლენის გასაწესებლად.⁵⁷ **მადაგასკარის** გადაუდებელი სოციალური დახმარების ბენეფიციარებს შორის არიან გარე მოვაჭრეები, სერვისის სფეროში დასაქმებული ქალები და სექს-მუშაკები. **ნიკარაგუაში** ოთხმა სამოქალაქო კავშირმა, კომპანიებმა და მთავრობამ, მიიღეს სამხმრვი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის მართვისკენ. ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებს ბიზნესის დახურვის შემთხვევაში ანაზღაურების შენარჩუნებას 60 წელს ზემოთ მყოფი, ორსული ქალებისა და ქრონიკული დაავადებების მაღალი რისკის მქონე პირებისათვის. **ბოლივიაში** მთავრობა დაბალი შემოსავლის მქონე დედებს (სხვა ჯგუფებთან ერთად) ურიგებს სურსათის კალათას (Canasta Familiar), რომლის ღირებულება დაახლოებით 57 აშშ დოლარია, ხოლო დაახლოებით 80 აშშ დოლარის ოდენობის ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფს იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვები (Bono Familia). შრომის სამინისტრომ კი სპეციალური შვებულებით სარგებლობის უფლება მისცა დასაქმებულთა გარკვეულ კატეგორიებს, რათა მათ მოახერხონ ხელფასების შენარჩუნება, მათ შორის არიან ორსული ქალები და 5 წლამდე ასაკის ბავშვების მართვებელი მშობლები.

ბავშვზე ზრუნვა.

კოსტა რიკაში, სადაც სკოლებში სწავლა შეჩერებულია, ღია რჩება დღის მოვლის ცენტრები და სასაბავშვოები. ამის მიზანია, ხელი შეუწყონ დასაქმებულ ქალებს, რათა მათ განაგრძონ მუშაობა, მაშინ, როცა მათი შვილები უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებით.

56 <https://www.indiatoday.in/business/story/finance-minister-nirmala-sitharaman-live-updates-economic-relief-package-in-dia-coronavirus-1659912-2020-03-26>.

57 <https://www.npr.org/sections/goatsandsoda/2020/03/31/822642382/coronavirus-lockdown-sends-migrant-workers-on-a-long-and-risky-trip-home>

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ ხელი შეუწყონ ყველა მშობლისა და მეურვის თანაბარ აღმზრდელობით პასუხისმგებლობებს და მოქნილ, ოჯახზე-ორიენტირებულ სამუშაო გრაფიკს.
- ◆ უზრუნველყონ გენდერულად მგრძობიარე ეკონომიკური ნახალისების მექანიზმები, რომელიც გააძლიერებს ქალებსა და გოგოებს. ეს შეიძლება მოიცავდეს ფულადი დახმარების პროგრამების შემოღებას ან გაფართოებას, ოჯახური მიზეზების გამო შვებულების აღების პოლიტიკას, უმუშევართა დახმარებას, ნაწილობრივ უმუშევართა-მცირე ხნით დახმარებას, პენსიებს ან ბავშვებისათვის გამოყოფილ გრანტებს, და ჰუმანიტარული ფულადი დახმარების მიწოდებას როგორც ქალების, ასევე კაცებისთვის.⁵⁸

რა გავლენას ახდენს COVID-19 ქალთა მისაწვდომობაზე წყალსა და სანიტარულ საშუალებებზე?

ქალებსა და გოგოებს, მათ შორის მოსახლეობის დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლებს, ხშირად არ მიუწვდებათ ხელი სანიტარულ ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე, რაც ზრდის ინფექციის მეტად გავრცელების რისკებს. ქალებსა და გოგოებს ხშირად უფრო მეტი მანძილის გავლა უწევთ საყოფაცხოვრებო მოხმარების წყლისა და საკვების მოსაპოვებლად, რაც ზრდის როგორც COVID-19-ით ინფიცირების, ისე გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის რისკებს. ქალი უფლებადამცველები კენიაში, სამხრეთ აფრიკასა და ეთიოპიაში საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ქალებს უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს ისიც, რომ მათ უწევთ წყლის მოსატანად ადრე წასვლა ან წყლის რიგში გვიანობამდე ყოფნა.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა კრიტიკულმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ ქალები და გოგოები განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან ჰიგიენურ და სანიტარულ საშუალებებზე წვდომის მხრივ, ოჯახის შემოსავლების შემცირების გამო.⁵⁹ არის შემთხვევები, როდესაც ჰუმანიტარული სააგენტოებიც წყვეტენ სანიტარული საშუალებების - მათ შორის, მენსტრუალური ჰიგიენის საშუალებების, საპნის და წყლის გამწმენდი ტაბლეტების მიწოდებას თანხების გადაუდებელ ღონისძიებებზე გადამისამართების გამო. აღნიშნული ქალებსა და გოგოებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს.⁶⁰

რა შეიძლება დასახელდეს წარმატებულ პრაქტიკად?

სახელმწიფოებმა, მედიამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია რიგი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის:

58 <https://www.social-protection.org/gimi/gess/RessourcePDF.action?id=56006>

59 https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b752d&mc_eid=b-6f3e4b34a, გვ. 1

60 https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b752d&mc_eid=b-6f3e4b34a.

ქალების ცოდნით გაძლიერება, რათა მოხდეს ჰიგიენურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

გავრცელებული ინფორმაციით, **ბანგლადეშში**, კერძოდ, კოქსის ბაზარში, ლტოლვილი ქალები წამყვან როლს ასრულებენ COVID-19-ის თავიდან ასაცილებლად ხელების დაბანის და სხვა ჰიგიენური ქცევის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში მოსახლეობასთან და ოჯახის წევრებთან გასაუბრებით.⁶¹

უვნებელი წყლის მიწოდება მათთვის, ვისაც მასზე ხელი არ მიუწვდება.

სამხრეთ აფრიკაში, მთავრობამ 41000 წყლის ავზი დაარსა ქვეყნის მასშტაბით, რათა დახმარებოდა თემებს, მათ შორის, შორეულ რაიონებსა და არაფორმალურ დასახლებებში, სანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილებაში COVID-19-ის თავიდან ასაცილებლად.⁶²

წყლის შეწყვეტაზე მორატორიუმის დაწესება და ოჯახებისათვის, რომლებსაც შეწყვეტილი ჰქონდათ წყლის მიწოდება, მისი აღდგენა.

შერთებული შტატების მრავალმა ქალაქმა და შტატმა გამოაცხადა მორატორიუმი წყლის შეწყვეტაზე, ხოლო იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც შეწყვეტილი ჰქონდათ წყლის მიწოდება, მისი აღდგენის ვალდებულებაც აიღო.⁶³

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ გადადგან პრევენციული ნაბიჯები, მათ შორის, წყალზე, საპონსა და სანიტარიულ საშუალებებზე, დისკრიმინაციის გარეშე წვდომის უზრუნველსაყოფად, ასევე იმ ბარიერებისა და რისკების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ქალები და გოგოები აწყდებიან.
- ◆ უზრუნველყონ გოგოებისა და ქალებისათვის განსაკუთრებულად აუცილებელი სანიტარული საშუალებების - მათ შორის, მენსტრუალური ჰიგიენის საშუალებების, საპნის და წყლის გამწმენდი ტაბლეტების მიწოდების უწყვეტობა, განსაკუთრებით, კრიზისულ ადგილებში.

რე გავლენას ახდენს COVID-19 ბავშვთა განათლებაზე?

ქალები და გოგოები, სკოლების დახურვის გამო, სავარაუდოდ, მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად ზარალდებიან. იუნესკოს შეფასებით, გლობალურად, განათლებაში ჩართული სტუდენტების 89%-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათი დახურვის გამო ვეღარ დადის. ეს არის 1.54 მილიარდი მოსწავლე და სტუდენტი, მათ შორის, თითქმის 743 მილიონი არასრულწლოვანი გოგოა. ამ გოგოების 111 მილიონზე მეტი ცხოვრობს მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.⁶⁴ დაავადებებთან დაკავშირებულმა ადრინდელმა პრაქტიკამ (მაგალითად, ებოლას და ზიკას გავრცელების დროს) აჩვენა, რომ გოგოები ხშირად პირველები გამოჰყავთ სკოლიდან ან თავად ტოვებენ სკოლას კრიზისული სიტუაციების

61 <https://news.trust.org/item/20200311121342-ncyuh/>

62 <https://www.sabcnews.com/sabcnews/government-secures-41-000-water-tankers-in-bid-to-curb-spread-of-covid-19/>

63 <https://www.theguardian.com/world/2020/mar/16/90-us-cities-and-states-suspend-water-shutoffs-to-tackle-coronavirus-pandemic>

64 <https://en.unesco.org/news/covid-19-school-closures-around-world-will-hit-girls-hardest>

დროს. გარდა ამისა, სკოლის მიტოვება სახლის საქმეების მომატებას უკავშირდება. სკოლების დახურვის შემთხვევაში კი გოგოებმა, განსაკუთრებით კრიზისულ ადგილებში ან ღარიბ ოჯახებში მცხოვრებმა გოგოებმა, შესაძლოა, დაკარგონ უსაფრთხო გარემო, საკვები და გენდერულად სპეციფიკური სერვისები, რაც მათთვის ხშირად მხოლოდ სკოლებში იყო მისაწვდომი. ასევე, გოგოები სკოლიდან, შესაძლოა, მათი შრომითი ექსპლუატაციის, ადრეული ან იძულებითი ქორწინების მიზნითაც გამოიყვანონ.⁶⁵

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყველა გოგოსთვის უწყვეტი სწავლის თანაბარი მისაწვდომობის მნიშვნელობას. მათ შორის იმას, რომ სწავლის განახლების შემდეგ ისინი დაუბრუნდნენ სკოლას.
- ◆ გოგოების სკოლიდან გაყვანის შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, არიან თუ არა ისინი კვლავ უზრუნველყოფილი საკვებითა და გენდერულად სპეციფიკური სერვისებით. ასევე, არიან თუ არა დაცული გენდერული ნიშნით ძალადობისა და ექსპლუატაციისგან.
- ◆ უზრუნველყონ, რომ გოგოები, ბიჭების მსგავსად, მონაწილეობდნენ მათ განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა სკოლების დახურვის შემდეგ სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავება და დისტანციური სწავლა მათი გამოცდილების, მისაწვდომობისა და საჭიროებების შესაბამისად.
- ◆ მასწავლებლებთან და სკოლის თანამშრომლებთან ერთობლივი ძალისხმევით, უზრუნველყონ დისტანციური სწავლების ინკლუზიური მეთოდები, მათ შორის, დაბალი ტექნოლოგიების და გენდერულად მგრძობიარე მიდგომების გამოყენებით, როგორცაა სწავლის დაგეგმვა გოგოების საჭიროებების მიხედვით, რადგან მათ, სახლში, სავარაუდოდ, დამატებითი საქმეების შესრულება უწევთ; ხელი შეეწყოს და მონიტორინგი გაეწიოს მათ ჩართულობას.
- ◆ ონლაინ რეჟიმზე აქტიური გადართვის გამო, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქალთა და გოგოების ციფრულ ტექნოლოგიებზე არათანაბარი მისაწვდომობის პრობლემის მოსაგვარებლად; მათ შორის, წვდომისა და ტრენინგების უზრუნველყოფით.

რა კავშირი აქვს ქალთა საკვებზე მისაწვდომობას COVID-19-თან?

არსებული გენდერული უთანასწორობის გამო, ქალები და გოგოები ხშირად განიცდიან საკვების ნაკლებობას. გარკვეული სოციალური ნორმების თანახმად, ისინი ბოლოს და ცოტას ჭამენ. შესაბამისად, ქალები და გოგოები უფრო მეტად განიცდიან არასათანადო კვების პრობლემას, ვიდრე კაცები და ბიჭები, რამაც შეიძლება გაზარდოს COVID-19-ის ინფექციისადმი მათი მგრძობიარეობა.⁶⁶ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის უფასო კვების პროგრამებმა კარგი შედეგი გამოიღო გენდერული თანასწორობის

65 https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b752d&mc_eid=b-6f3e4b34a, გვ. 4.

66 https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b752d&mc_eid=b-6f3e4b34a, გვ. 7.

მიღწევის მიმართულებით.⁶⁷ ხოლო სკოლების დახურვა და შესაბამისად, კვების პროგრამების შეჩერება შესაძლოა უარყოფითად აისახოს გენდერულ თანასწორობაზე.

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ ფულად დახმარებასთან ერთად, უზრუნველყონ წვდომა პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და სერვისებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს სასკოლო კერძების განაწილების მექანიზმების ადაპტირებას იქ, სადაც სკოლები დაიხურა; პირველადი მოხმარების პროდუქტების და საკვების მიწოდებას, განსაკუთრებით, ხანდაზმული პირებისთვის, მათ შორის, ხანდაზმული ქალებისათვის და თვითიზოლაციაში მყოფი პირებისათვის.⁶⁸

რატომ არის კრიტიკული ქალთა მონაწილეობა COVID-19-ის საკანსუხო ზომების დაგეგმვაში?

ქალები და გოგონები - ასევე, ქალთა ქსელები და ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები - ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე COVID-19-თან ბრძოლის პოლიტიკის დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში თანაბრად არ არიან წარმოდგენილნი. ქალების ხმა და გამოცდილება არ არის სრულად გამოყენებული გლობალური ჯანდაცვის ზედამხედველობის, გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმებში.⁶⁹ მედიის მიერ COVID-19-ის თემატიკის გაშუქებისას, სამიდან მხოლოდ ერთი რესპონდენტია ქალი.⁷⁰

ქალების დაბალმა ჩართულობამ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ჯანდაცვასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაციების დროს, ქალების სპეციფიკურ პრობლემებზე, სიტუაციებზე, გამომწვევებსა და მოთხოვნებზე რეაგირების დროს შესაბამისი ხარვეზები გამოიწვია. მთელი მსოფლიოს მაგალითებიდან ირკვევა, რომ ამ მხრივ სიტუაცია ყველგან ერთნაირია. როგორც უკვე აღინიშნა, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა 70%-ზე მეტი ქალია და ისინი მოსახლეობასთან ურთიერთობის და მათზე ზრუნვის წინა ხაზზე დგანან. ქალები ასევე უპირატეს მდგომარეობაში არიან პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე და საზოგადოების ჩართულობაზე ეფექტიანი გავლენის მოხდენის თვალსაზრისით.⁷¹

სახელმწიფოების მიერ გადაადგილების შეზღუდვის მიზნით დაწესებულმა საგანგებო და

67 <https://docs.wfp.org/api/documents/WFP-0000102338/download/>

68 <https://www.social-protection.org/gimi/gess/RessourcePDF.action?id=56006>

69 https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_A_Gender_Lens_Guidance_Note.pdf, გვ.6; [https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736\(20\)30526-2/fulltext](https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(20)30526-2/fulltext). ასევე იხილეთ ჰუმანიტარული პრობლემების კონტექსტში, <https://interagencystandingcommittee.org/system/files/2020-03/IASC%20Interim%20Guidance%20on%20COVID-19%20for%20Outbreak%20Readiness%20and%20Response%20Operations%20-%20Camps%20and%20Camp-like%20Settings.pdf>; გვ.4.

70 იხ. <https://www.womeningh.org/operation-50-50>; also <https://genderchampions.com/news/covid-19-what-does-this-mean-for-gender>

71 ასევე იხ. UNFPA, https://www.unfpa.org/sites/default/files/resource-pdf/COVID-19_A_Gender_Lens_Guidance_Note.pdf, გვ.3.

სხვა უსაფრთხოების ზომებმა ასევე მოახდინეს გავლენა სამოქალაქო სექტორზე, მათ შორის, ქალ უფლებადამცველებზე. ფართო დისკუსიებია საჭირო იმის დასადგენად, თუ როგორი შეიძლება იყოს საგანგებო ზომების გავლენა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში დემოკრატიაზე და ფემინისტური და გენდერული თანასწორობის მოძრაობებზე. ქალთა და გენდერული თანასწორობის ორგანიზაციები, ხშირად, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფინანსდებიან, ხოლო პრიორიტეტების შეცვლის გამო, მათ შესაძლოა, სასიცოცხლო მნიშვნელობის მხარდაჭერა დაკარგონ.

რა ძირითადი ზომების გატარება შეუძლიათ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს?

- ◆ უზრუნველყონ ქალთა სრული და რეალური მონაწილეობა, წარმომადგენლობა და ლიდერობა COVID-19-თან ბრძოლის პოლიტიკის დაგეგმვისა და გადართმევის მიზნების პროცესებში ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მათ შორის, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა პრევენცია, რეაგირება და რეაბილიტაცია. ასევე დაფინანსებისა და დახმარების განაწილება. მედიამ უნდა გადადგას ნაბიჯები ქალებისა და მათი გამოცდილების უკეთესად წარმოსაჩენად COVID-19-ის გაშუქების დროს.
- ◆ უზრუნველყონ, რომ პრიორიტეტების შეცვლამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს იმ აქტორებზე, რომლებიც ხშირად განზე რჩებიან და განსაკუთრებულად ზარალდებიან COVID-19-ით. მაგალითად, ქალთა და ლგბტი+ უფლებების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი, მათი რიგითი აქტივისტები.
- ◆ უზრუნველყონ, რომ გენდერული თანასწორობის საკითხი არ მოიხსნას დღის წესრიგიდან; საჯაროდ დაუჭირონ მხარი ქალ უფლებადამცველებს და აღიარონ მათი მნიშვნელობა.
- ◆ უზრუნველყონ, რომ საგანგებო უსაფრთხოების და სხვა ზომები, არ გამოიყენებოდეს მათზე თავდასასხმელად, მათ გასაჩუქებლად ან მათი სივრცის შესამცირებლად.

რა მონაცემების შეგროვებაა საჭირო?

უნდა გაიზარდოს ძალისხმევა ინფექციის გავრცელების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად სქესის, რასის და ასაკის მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებებზე ვირუსის გენდერულად სპეციფიკური გავლენის და საპასუხო ზომების დოკუმენტირებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გენდერულ ანალიზზე.⁷² ამგვარი მონაცემები და კვლევა აუცილებელია პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად და სხვა კრიზისული სიტუაციებისა და მომავალი დაავადებებისათვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების თვალსაზრისით. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ **მოლდოვაში** ჯანდაცვის სისტემისთვის ონლაინ პროგრამის ამოქმედება, რომელიც მათ ინფორმაციას აწვდის ინფექციის შემთხვევების რაოდენობაზე სქესის, ასაკისა და ორსულობის სტატუსის მიხედვით, აღიარებული უნდა იყოს როგორც დადებითი პრაქტიკა.⁷³

72 ასევე იხ.: [https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736\(20\)30526-2/fulltext](https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(20)30526-2/fulltext), და: https://www.care.org/sites/default/files/gendered_implications_of_covid-19_-_full_paper.pdf?mc_cid=89788b752d&mc_eid=b6f3e4b34a, გვ.8.

73 <https://www.unfpa.org/press/women-girls-health-workers-must-not-be-overlooked-global-covid-19-response>

